

უცხოეთში

მთვარე მიცურავს დინჯადა ცაზედ
და თვით მკრთალ სხივთა ჰერის ქვეყანაზედ.
მძინარ სოფელსა კამარა ცისა
თვის სიმშვიდითა არ უფრთხობს ძილსა.
ყოველი ჰქუმობს გარშემო ჩემსა,
სძინავთ ნიავთა, სძინავთ ფოთლებსა,
ყველა ტკბილ ძილში ბედითა სტკბება,
ყველას მშვიდობა გარს ეფინება,-
და მხოლოდ ჩემი ურვით მოკლული
შემომტირის მე მწუხარედ გული...
მისთვის ხომ არა, რომ ვსჭვრეტ სხვა ზეცას.
სხვათა უფერულთ ვარსკვლავათა დენას?
თუ მოაგონდა, რომ ერთხელ მეცა
ეგრეთ დამცქერდა სამშობლოს ზეცა,
ზეცა სულ სხვა ფრად გაბრწყინებული
და სულ სხვა რიგად დამშვიდებული.

23 ივლისი, 1858წ.

ტიარლევო.